



## საერთაშორისო აკადემია Kids Globe

### რეზიუმე

სწავლა საფუძველია კაცობრიობის განვითარებისთვის. XXI ს. დასაწყისიდან ჩვენი გაერთიანება და მსოფლიო კავშირი დგას იმ დიდი ერთიანი მოწოდების წინაშე, რომელიც შეძლებს შეცვლილი სასწავლო მეთოდების ფარგლებში საფუძველი ჩაუყაროს ახალ განმარტებას.

საყოველთაო კავშირმა Kids Globe\_მა დააყენა საპასუხისმგებლო საკითხი. ერთიანი საზოგადოებრივი ძალებით დანერგოს ახალი საგანმანათლებლო გზები, რათა სასწავლო სტრუქტურა სამაგალითოდ საჩვენებელი და პრაგმატული გახადოს. საერთაშორისო აკადემიის Kids Globe\_ის მიზანს წარმოადგენს თეორიისა და პრაქტიკის მაღალ დონეზე შერწყმა.

ჩვენი სამსახური ორიენტირებული იქნება თვითოეულ ბავშვზე, მათი საკუთარი პოტენციალის ამაღლებასა და ხელშეწყობაზე. აგრეთვე გთავაზობთ პარტნიორობას სწავლის მრავალფეროვნულ მიმართულებებში. დაინერგება ფართო საგანმანათლებლო კვანძი, სადაც ჩვენ პრინციპულად არ მივანიჭებთ უპირატესობას ტრადიციულ პედაგოგიურ მეთოდებს. მოვიწვევთ ყველა ქვეყნიდან უცხოელ მოსწავლეებს, როგორც სახელმწიფო აგრეთვე კერძო სკოლებიდან, სრული თუ არასრული განათლების მქონე ბავშვებს. შევისწავლით მათ სპეციფიკას, რათა აქედან გამოკვლეულ იქნას სწავლის ახალი მიმართულებები.

პრაქტიკა ძალიან დიდ როლს ითამაშებს, რომელიც კოლოსალურად ხელს შეუწყობს წარმატებულ სწავლებას. Kids Globe\_ს სურს გიჩვენოთ, თუ როგორ შეუძლია პრაქტიკას სათანადო სტილით, ინოვაციურ სასწავლო ბმულს შეერწყას.

ორანიენბურგში(გერმანია) უმოკლეს ხანში ჩვენს მოხმარებაში გადმოვა გრაზოვის ტბასთან ვრცლად გადაჭიმული მიდამო, რომელიც აკმაყოფილებს მაღალ მოთხოვნებს. ჩვენი ანსამბლეა იმყოფება ყოფილი ტუბ-დისპანსერის, გრაზოვის ტბის ტერიტორიაზე, თავისი ესთეტიკური ხარისხითა და ლანჩაფტურად პრივილეგირებული ადგილით, რომელიც ეკუთვნის კულტურულ ძეგლთა დაცვას. გააჩნია ტბის მისადგომიც ოდა-ჰაველის არხთან და დაფარულია ბრანდენბურგული ბუნებით.მასთან ახლოს მდებარეობს დედაქალაქი ბერლინი და საკონცენტრაციო ბანაკი ზაქსენჰაუსენი.

აქ შესაძლებელია, როგორც სახელოსნოების აგრეთვე ლაბორატორიების, სტუდიებისა და ატელიეების განთავსება. გაშენდება ბაღ-ბოსტნები, აგრეთვე ჩვენს ნორჩ სტუმრებს მიეცემათ ცხენებით ჯირითის შესაძლებლობა.

- ჩვენ ვთანამშრომლობთ საერთაშორისო ექსპერტებთან და ჩვენი პროექტი მეცნიერული თვალსაზრისით ვითარდება.
- ჩვენ ორიენტირებული ვართ თანამედროვე თაობაზე და ორმხრივ, გაცვლით სწავლებაზე, ახალგაზრდასა და ასაკოვანს შორის.
- მოვიწვევთ მშობლებს შვილებთან ერთად Kids Globe\_ის აკადემიაში გასაწევრიანებლად.
- მოვიწვევთ ხელოვანებსა და ოსტატებს, რათა მათი ცოდნა და ნიჭი ახალგაზრდა თაობებს გადაეცეს.
- მოხარული ვიქნებით იმ ორგანიზაციების, რომლებიც ამ სასწავლო[გეგმას] პროექტს მხარს დაუჭერენ.
- ვიწვევთ დაინტერესებულ საზოგადოებას, თავადვე რომ შეექმნათ წარმოდგენა ჩვენს სამსახურზე.

ეკონომიკურ ფუნდამენტს ქმნის Kids Globe\_ის მეცენატები და ა.შ. ჩვენი დიდი მიზნის შედეგად შესაძლებელი გახდება 100 000 მეცენატის მოპოვება.

აკადემიის განვითარების მაგალითისთვის ავიღოთ თავად ბავშვი. ჩვენ ვიქნებით პატარა და მუდმივი წინსვლით გავიზრდებით.

ყოფილი გერმანიის პრეზიდენტი პროფ. რომან ჰერცოგ უწევს პრიტექციას Kids Globe\_ს.